საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

ბრძანება N 183

21/08/2018 ქ.თბილისი

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ, ინტერნეტ ვებ-გვერდზე - http://www.prezi.com, ინტერნეტით გამოწერის გზით, prezi-ს საპრეზენტაციო პროგრამაში მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ლიცენზიის შესყიდვის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის 1[1] პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 31 მარტის საქართველოს ფინანსთა მინისტრის N247 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს http://www.prezi.com ინტერნეტ ვებ-გვერდზე, prezi-ს საპრეზენტაციო პროგრამაში მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, Prezi INC. (EU826023214)-სგან, 1 (ერთი) წლის მოქმედების შესაბამისი ლიცენზიის (1 წლის ვადით (prezi)-ის პროგრამის სარგებლობის წევრობის (membership)) შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1[1] პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ინტერნეტით გამოწერის გზით. (CPV72416000)
2. დაევალოს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის, სისტემური ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის კახაბერ კალანდაძის 2018 წლის 20 აგვისტოს N92606-22 მოხსენებითი ბარათი.

ჯონი შურღულაია

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი